

ბიზნესისა და
ტექნოლოგიების
უნივერსიტეტი



2016 - 2024 ზეპნაფეხა

BTU 8 წლისაა



BTU

2016

BTU

2024

BTU

2016-2024 წლების შეჯამება

BTU-ს სტუდენტების რაოდენობა - 10 117;

კურსდამთავრებულთა რაოდენობა - 2 200;

ლექტორების რაოდენობა - 350-ზე მეტი;

ადმინისტრაციის თანამშრომელთა რაოდენობა - 57;

8 წლის განმავლობაში უნივერსიტეტში შეიქმნა 10 აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამა საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებზე, ბიზნესისა და ტექნოლოგიების მიმართულებით;

ამ ეტაპზე უნივერსიტეტში ფუნქციონირებს შემდეგი სასწავლო პროგრამები:

საბაკალავრო პროგრამები:

- ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტი;
- ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსები;
- ციფრული მარკეტინგი;
- საინფორმაციო ტექნოლოგიები;
- კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტი.

სამაგისტრო პროგრამები:

- ბიზნესის ადმინისტრირება და საინფორმაციო ტექნოლოგიები;
- ინფორმაციული სისტემების მართვა DevOps;
- საერთაშორისო უსაფრთხოება და ტექნოლოგიები.

სადოქტორო პროგრამები:

- ბიზნესის ადმინისტრირება;
- ციფრული მმართველობა და ხელოვნური ინტელექტი საჯარო სექტორში.

BTU-ს ფინანსების საბაკალავრო პროგრამას საერთაშორისო ACCA-ს აკრედიტაცია აქვს;

BTU-ს DevOps სამაგისტრო პროგრამას Amazon Web Services - AWS აკრედიტაცია აქვს;

BTU-ს ადგილობრივი და საერთაშორისო პარტნიორების რაოდენობა - 350-ზე მეტი;

BTU-ს პარტნიორი საერთაშორისო უნივერსიტეტების რაოდენობა - 90-ზე მეტი;

BTU-ს დასაქმებულ სტუდენტთა რაოდენობა - 73%;

BTU-ს დასაქმებულ კურსდამთავრებულთა რაოდენობა - 94%;

მიმდინარე და დასრულებული საერთაშორისო პროექტები BTU-ში

BTU-ში ინსტიტუციური განვითარების 120-ზე მეტი საერთაშორისო პროექტი, მათ შორის:

- Women Mentorship in Tech Programmes
- 500 Women in Tech
- Coding School for Women
- Women in Ai
- USAID for 500 Women in Tech
- European Energy Efficiency towards Mutually Reinforcing Partnership with Georgia, Azerbaijan and Ukraine - 3E-Partnership
- Boosting the role of HEIs in the industrial transformation towards the Industry 4.0 paradigm in Georgia and Ukraine (HEIn4)
- EU for Energy Security and Sustainable Development Policies
- Promoting Information Literacy in Digital Environment among Women in Georgia
- Coding School for 1500 Women
- Education4Entrepreneurship – building capacities for innovative product/service development at HEIs
- Promoting and Supporting Teaching the Italian Language
- Design Thinking as a method of soft skills and digital skills development in higher education to increase employability
- Hackathon and ICT-based Innovative Methodologies in Higher Education - Hack-IT
- European Energy Efficiency towards Mutually Reinforcing Partnership with Georgia, Azerbaijan and Ukraine - 3E-Partnership
- ROLA - Research Oriented Learning Analysis
- Indo-Pacific-European Digital Hub
- AI4Cybersec
- Support the Entrepreneurial Ecosystem in Georgia
- Girls in Tech (Regions)
- Mentors Program for Startups
- ტექნოლოგიური ბანაკი გოგონებისთვის
- Book Translation: Strategic Market Management
- Data Driven Digital Marketing
- “Mastering the Blockchain” Intensive Training Course
- International Summer School: Global Job Skills – Leadership and Employability

- Green Entrepreneurship
- Social Entrepreneurship
- Real-time jobs for Youth
- Kakheti Pre-accelerator Program
- E-Medicine: Digital Health Management
- Promoting Italian Culture (Book Grant)
- Caucasus Summer School
- Digital Teaching Staff Mobility: Culture and Economy in South Caucasus
- Israel-Georgia School of Digital Culture
- Promoting European Union's Cyber Education
- Network4Growth – Innovation and technology transfer network for development and economic growth
- Innovation Laboratory
- Kutaisi Pre-Acceleration Program
- BOOST: Women Innovators
- University Capacity Building Program UCBP
- BC Creative Hubs Training and UK Visit Programme
- Promoting and Supporting Teaching the Italian Language
- 122 Erasmus+ International Credit Mobility
- Baltic University Network for International Development of Academic Talents TALNET
- UN SDG Ambition Accelerator
- Promoting Italian Culture (Book Grant)
- Develop and Implement an Accelerator Program for Women Agricultural Entrepreneurs
- Agritourism, Innovation and Entrepreneurship
- Creative Spark: Higher Education Enterprise Programme
- Creative Spark: Higher Education Enterprise Programme - English Clubs
- Citadel
- Creative Spark: Higher Education Enterprise Programme
- Women in Tech
- Entrepreneurship Ecosystem in Georgia
- “Disciplined Entrepreneurship” by Bill Aulet
- “Venture Deals” by Brad Feld and Jason Mendelson
- Technology Festival

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი სტუდენტებისთვის ცოდნის მიღების ახალ სტანდარტს ქმნის. BTUAI განათლების ახალი პლატფორმაა სტუდენტებისთვის და ინდუსტრიის პროფესიონალებისთვის, რომლის ქართულენოვანი მოდელი ზრდის სტუდენტების ხელმისაწვდომობას მაღალი ხარისხის განათლებაზე, ხელს უწყობს პრაქტიკული უნარების განვითარებას და აუმჯობესებს სხვადასხვა სფეროში მიღებულ ცოდნას.

ახალი მოდელი სტუდენტებს სხვადასხვა სფეროში, ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების გამოყენების მრავალფეროვან შესაძლებლობებს ასწავლის და ინდუსტრიების პროფესიონალებს პროცესების ახლებურად და ეფექტურად მართვაში ეხმარება. ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის მიერ შექმნილი BTUAI, ახლა უკვე ქართულ ენაზე აგენერირებს როგორც სასწავლო და სატრენინგო მასალას, ისე უახლეს, საერთაშორისო ბიზნესქეისებს, რომელიც სფეროს სხვადასხვა წარმომადგენელს, დამწყებს თუ დარგის სპეციალისტს ახალ ცოდნას მისცემს და ხელოვნური ინტელექტის პოტენციალის ეფექტურად გამოყენებას გაუმარტივებს. ტექნოლოგიების განვითარება, ინდუსტრიების ციფრული ტრანსფორმაცია და მომავლის უნარების განვითარების საჭიროებამ წარმოშვა ისეთი გადაწყვეტილების შექმნის იდეა, რომელიც სხვადასხვა სფეროს სპეციალისტებს - მარკეტინგის, მენეჯმენტის, ადამიანური რესურსების, ოპერაციების, ლოჯისტიკის და სხვა სფეროს პროფესიონალებს კონკურენტულ უპირატესობას შესძენს, ამავდროულად, ასწავლის სტუდენტს, როგორ გამოიყენოს ხელოვნური ინტელექტი, იმ სფეროში, სადაც იღებს განათლებას.

BTUAI-ს ახალი გადაწყვეტილება, ხელმისაწვდომი და ღიაა ნებისმიერი მომხმარებლისთვის, არის სეგმენტების შესაბამისად და სფეროს საჭიროებებიდან გამომდინარე შემუშავებული საგანმანათლებლო მასალების და უახლესი ბიზნესქეისების ერთობლიობა, რომელიც ყველა ინდუსტრიისთვის, AI ტექნოლოგიების ინტეგრაციის შესახებ ცოდნასა და შესაძლებლობებს აჩენს. BTU AI Review კი არის ინოვაციური, ახალი ბიზნესქეისების ერთიანი კატალოგი, რომელიც მსოფლიოს საუკეთესო და მაღალი სანდოობის მქონე წყაროებზე დაყრდნობით ქმნის ახალ რესურსს.

BTUAI-ს გამოყენებით, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტმა შექმნა ინდივიდუალური და დარგობრივი საგანმანათლებლო რესურსები, ქეისები, სფეროს შესაბამისი ჯგუფური ტრენინგის მოდულები, რომელიც გამოიყენება არა მხოლოდ სწავლების, არამედ, ვორკშოპების და ტრენინგების ჩატარების დროს. ხელოვნური ინტელექტისა და სხვადასხვა სფეროს AI კურატორების, ექსპერტების ჩართულობით შექმნილი უნიკალური რესურსები და ქეისები OpenAI-ს შესაბამის პლატფორმაზე ზიარდება.

- AI Marathon - 1000მდე მონაწილე სტუდენტი საქართველოს მასშტაბით, 40 000 ლარამდე გაცემული საპრიზო ფონდი.
- შეიქმნა სტუდენტის პირველი AI ასისტენტი - ClassroomAI;
- შეიქმნა პირველი AI ლექტორი ქვეყანაში;
- შეიქმნა ინოვაციური პლატფორმა BTU AI;
- AI ტრენინგები: სტუდენტებისთვის, ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, მსხვილი და მცირე ბიზნესებისთვის.
- AI-ის შესახებ ცნობიერების ასამაღლებელი შეხვედრები, ვორქშოფები, პანელური დისკუსიები და სხვა.

შეიქმნა GeorgiaAI საქართველოს მთავარი საინფორმაციო ფონდი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის და პალიტრა ჰოლდინგის პარტნიორობით, რომელიც ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით ამუშავებს მასალას;

BTU-ში დაფუძნდა 9 ლაბორატორია (iOS & Android Lab, AI Lab, Blockchain Lab, Renewable Energy Lab, Industry 4.0 Lab, Martech Lab, Microsoft Lab, Sustainability Lab, Cybersecurity Lab).

Microsoft ლაბი - სტუდენტები, კურსდამთავრებულები, პროფესორები და ტექნოლოგიებით დაინტერესებული საზოგადოების წარმომადგენლები უამრავ საინტერესო შესაძლებლობებზე იღებენ წვდომას. ესენია: პროექტებისა და კვლევის მხარდაჭერა, სემინარები და ტრენინგები, ინოვაციებისა და მენარმეობის მხარდაჭერა, ჰაკათონები, კონკურსები და ღონისძიებები, კარიერული მხარდაჭერა, სასწავლო პროგრამების შემუშავება, ციფრული ტრანსფორმაციის სტრატეგიები.

მდგრადობის ლაბი - BTU-მდგრადობის ლაბორატორიის ფარგლებში, ამ დრომდე განხორციელებულ აქტივობებს შორისაა:

- BTU-ს სტუდენტებისთვის ნული ნარჩენების შესახებ სემინარი;
- BTU-ს სტუდენტებისთვის პლასტმასის გადამუშავებისა და მისი ბაზარზე გაყიდვის შესაძლებლობების შესახებ მასტერკლასი;
- BTU-სა და კომპანია “ტენე“-სთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის ფარგლებში უნივერსიტეტის კამპუსზე განთავსდა ეკო-მეგობრული სანაგვე ურნები;
- BTU-სა და ნარჩენების მართვის ბიზნეს ასოციაციასთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება მდგრადობის მიმართულებით სტუდენტების ჩართულობა/დასაქმება, საჯარო ლექციები, ტრენინგები, მასტერკლასები და სხვა.

ინდუსტრია 4.0 ლაბორატორია

ინდუსტრია 4.0 ლაბორატორიის კონცეპტი BTU-მ ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ერაზმუს+ ინსტიტუციური განვითარების პროექტის – HEIn4-ის ფარგლებში განავითარა.

Microsoft-ის გადაწყვეტილებები ბიზნეს ანალიტიკისთვის, Power BI, Dynamics 365, Azure, Google-ის ინსტრუმენტები, Cloud და Analytics, ვირტუალური რეალობა და პროდუქტის 3D ვიზუალიზაცია, Unity, Unreal engine, Blender, Adobe-ის სხვადასხვა პროდუქტები, პოდკასტების სერია ტექნოლოგიური ტრენდების შესახებ და სხვა პროექტები, ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან პარტნიორობითა და BTU-ს ორგანიზებით ტარდება.

iOS/Android ლაბი

iOS/Android ლაბორატორია შექმნილია USAID-ის დაფინანსებით და სტუდენტების, ლექტორებისა და გარე ბენეფიციარების iOS და ანდროიდის მიმართულებით გადამზადების, პროექტების ინიცირებასა და გამოცდილების გაზიარებას ემსახურება.

BTU-ს ინიციატივით და The USAID Economic Security Program-ის მხარდაჭერით სრული დაფინანსებით iOS და Android-ის მიმართულებით 6-თვიანი უფასო გადამზადების ბენეფიციარებმა, 6-თვიანი ინტენსიური გადამზადების კურსი, iOS და Android Development-ის მიმართულებებით, გაიარეს.

BTU IOS LAB-ში საბავშვო კოდინგის პროგრამის კურსი 3 თვის განმავლობაში გაგრძელდა

AI ლაბი

საქართველოში Mercedes Benz-ის წარმომადგენლობის ხელშეწყობით BTU AI LAB – ხელოვნური ინტელექტის პირველი რეგიონალური ლაბორატორია ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში გაიხსნა. BTU-ს სტუდენტებს და ნებისმიერ დაინტერესებულ ადამიანს აქვს საშუალება მსოფლიოს წამყვან IT კომპანიებთან ითანამშრომლონ და მათთვის საინტერესო პროდუქტი განავითარონ. BTU AI LAB თანამშრომლობს ხელოვნური ინტელექტის ბიზნესასოციაცია AI Georgia-სთან, რომელიც აქტიურად მუშაობს ქვეყანაში ხელოვნური ინტელექტის ეროვნული სტრატეგიის შექმნის, AI-ს ქვეყნის სტრატეგიულ სექტორებში და ბიზნესინდუსტრიებში ინტეგრაციის, სამეცნიერო კვლევების მხარდაჭერის და ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით.

განახლებადი ენერჯის ლაბორატორია

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში ფუნქციონირებს განახლებადი ენერჯის ლაბორატორია. RES Lab-ი განიხილავს საქართველოს ენერჯო სექტორში მოქმედი კომპანიების წინაშე არსებულ გამოწვევებს, ახორციელებს შესაბამის კვლევებსა და მართავს კონსულტაციებს. ლაბის ფარგლებში შექმნილია სადისკუსიო პანელი, სადაც კერძო და სახელმწიფო ინსტიტუციები ერთიანდება. პანელური შეხვედრების ფორმატში მუდმივად განიხილება კვლევების შედეგები, რეკომენდაციები და მისი განხორციელების გზები საქართველოში.

MarTech Lab

Martech Lab-ის მიზანია საქართველოს მარკეტინგული ბაზარი ტექნოლოგიურად მოწინავე ინდუსტრიად გარდაქმნას. ლაბორატორიის ფარგლებში მიმდინარეობს პროექტი, რომელშიც ჩართულია BTU-ს სტუდენტებისა და Quick-ის წარმომადგენლებისგან დაკომპლექტებული გუნდები.

პროექტი ითვალისწინებს:

მარკეტინგის მიმართულებით თანამედროვე ტექნოლოგიების აღმოჩენასა და შეფასებას; მარკეტინგული პროცესების შესწავლას, აღმოჩენილი ტექნოლოგიების მათთან ინტეგრაციასა და ოპტიმიზაციის ანალიზს; ტექნოლოგიების გამოყენების საუკეთესო ტაქტიკების შემუშავებას, დატესტვას ანალიზსა და გაუმჯობესებას

ბლოკჩეინ ლაბი

ბლოკჩეინ ლაბორატორიაში მიმდინარეობს სწავლება და გადამზადება ბლოკჩეინ სისტემების დეველოპმენტის მიმართულებით, მისი ინტეგრირება ორგანიზაციულ პროცესებში. ლაბორატორია ასევე მასპინძლობს ვორკშოპებსა და სემინარებს და ახორციელებს მაღალტექნოლოგიური სტარტაპების მხარდაჭერას.

ბლოკჩეინ ლაბორატორიის ფარგლებში განხორციელებული

შეხვედრების/აქტივობების მცირე ჩამონათვალი:

- NFT სესია DeFi-ს, dApps-ისა და DAOs-ის შესახებ
- რა არის PoS & PoW Blockchain?
- NFT არტისტები უკრაინისთვის
- დეცენტრალიზაცია, დეცენტრალიზებული ბირჟები და პროტოკოლები
- Blockchain Developer-ის პროგრამა BTU-ს სტუდენტებისთვის
- ყოველწლიური ტექნოლოგიების ფესტივალი – Bitcoin, Blockchain and Decentralized Applications
- კრიპტო არტ/NFT მოკლევადიანი კურსი, BTU-ს სტუდენტებისთვის – რა არის NFT? რა მომავალი აქვს მას?
- საინფორმაციო შეხვედრა Metaverse-ის შესახებ BTU-ს სტუდენტებისთვის

კიბერუსაფრთხოების ლაბი

კიბერუსაფრთხოების ლაბორატორია ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში 2017 წლიდან არსებობს. ლაბის ფარგლებში იქმნება საინფორმაციო რესურსები და ტარდება საგანმანათლებლო აქტივობები: ტრენინგები, ფორუმები, კონკურსები, კვლევები, გადამზადების პროგრამები, ჰაკათონები – სტუდენტებისთვის, სკოლის მოსწავლეებისთვისა და ბენეფიციარებისთვის.

განხორციელებული აქტივობები:

- BTU-ს “ინიციატივა 5.0” კიბერუსაფრთხოების მიმართულებით და ევროკავშირთან F57AE4 თანამშრომლობით საქართველოს მასშტაბით ამოქმედდა
- ევროკავშირის კიბერუსაფრთხოების განათლების მხარდაჭერა – PEU-C-E
- ევროკავშირი ენერგოუსაფრთხოებისა და მდგარი განვითარების პოლიტიკისთვის – EU- Energy-SSDP
- ავატარის სესიები კიბერუსაფრთხოების მიმართულებით
- კონფერენცია – Perspectives on Human Behavior in the Cyber-dominated Environment
- ისრაელ-საქართველოს ციფრული კულტურის სკოლა
- BTU-სა და Tegeta Motors-ის მიერ ორგანიზებული კიბერ ჰაკათონი
- კიბერჰაკათონი სკოლის მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის
- უსაფრთხო ინტერნეტის დღის ფარგლებში საერთაშორისო აქტივობები განხორციელდა
- ვორქშოფი ევროკავშირის კიბერუსაფრთხოების სწავლების მიმართულებით
- ვორქშოფები კიბერჰიგიენისა და კიბერუსაფრთხოების შესახებ ბავშვებისთვის, მშობლებისთვისა და მასწავლებლებისთვის;
- სხვა.

ასოციაციები და წევრობები

საქართველოსა და რეგიონში პირველად BTU გახდა MIT Martin Trust Center ის წევრი, გარდა ამისა გლობალური სტარტაპ ლაბის პროგრამა პირველად რეგიონში BTU-ში განხორციელდა. მასში BTU-ს სრული დაფინანსებით მონაწილეობდა 20 სტუდენტი;

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი ჰარვარდის ბიზნესის სკოლის კონკურენციისა და სტრატეგიის ინსტიტუტის - Harvard MOC Affiliate Network წევრია, რაც უნივერსიტეტს აძლევს საშუალებას, სასწავლო პროცესებში გამოიყენოს ჰარვარდის სასწავლო რესურსები და მეთოდოლოგია, როგორც „კონკურენტუნარიანობის მიკროეკონომიკის“ მიმართულების კურსების, ისე სხვა საგნების ფარგლებში. ჰარვარდის რესურსების მიხედვით სწავლება BTU-ში 2023 წლიდან დაიწყო.

BTU - Microsoft Learn for Educators-ის წევრია. ეს არის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც სასწავლებლებს, უნივერსიტეტებს, კოლეჯებს და საშუალო სკოლებს აძლევს Microsoft-ის ოფიციალურ კონტენტზე წვდომას, რომ ეს უკანასკნელი საკუთარ სასწავლო პროცესში ჩართონ.

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი Apple-ის ავტორიზებული სასწავლო ცენტრია და მას მინიჭებული აქვს სახელი „Apple-ის ავტორიზებული ტრენინგ ცენტრი განათლებისთვის“ (AATCE). სასწავლო ცენტრები, რომლებიც Apple-ს სხვადასხვა ქვეყანაში აქვს, ვალდებული არიან უზრუნველყონ ლექტორებისა და სტუდენტებისთვის უმაღლესი ხარისხის განათლების მიწოდება. პარტნიორი სასწავლო დაწესებულებები კი საგულდაგულოდ არის შერჩეული Apple-ის სტანდარტების შესაბამისად და ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა: შესაბამისი ტექნოლოგიური აღჭურვილობა, აკადემიური პერსონალი, სასწავლო კურსები და ასევე, ინფრასტრუქტურა;

BTU StrategEast-თან თანამშრომლობით ტექნოლოგიური გიგანტის Oracle-ის მიერ დაფუძნებული აკადემიის (Oracle Academy) წევრია. აღნიშნული წევრობა, შესაძლებლობას აძლევს BTU-ს აკადემიურ და მოწვეულ ლექტორებს, ჩაერთონ Oracle-ის პროფესიული განვითარების პროგრამაში, რომელიც 4 წელიწადს გრძელდება;

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი European University Association (EUA) ინდივიდუალური ასოცირებული წევრია. EUA აერთიანებს 850-ზე მეტ უმაღლეს სასწავლებელს 49 ქვეყანაში. EUA გადამწყვეტ როლს ასრულებს ბოლონიის პროცესში და ევროკავშირის პოლიტიკაზე გავლენის მოხდენაში უმაღლეს განათლებაზე. ასოციაცია ეხმარება წევრებს საუკეთესო პრაქტიკების გაზიარებაში, პროექტებისა და ღონისძიებების განხორციელებაში;

BTU, ARISA -ს წევრია. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული Erasmus+ Alliances for Innovation პროექტია, რომელიც ხელოვნური ინტელექტის ცოდნისა და უნარების განვითარებას ეძღვნება ევროპის მასშტაბით და ეხმარება დაინტერესებულ ინსტიტუციებს, ტექნოლოგიურ ბიზნესებს და მთავრობებს ხელოვნური ინტელექტის მიმართულებით პოლიტიკის შემუშავებაში; ასევე, ადამიანზე ორიენტირებული, სანდო და AI-ზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებაში. პარტნიორობის ფარგლებში, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი ვალდებულია იღებს ხელი შეუწყოს ხელოვნური ინტელექტის უნარების და კომპეტენციების განვითარებას და გაზიარებას ქვეყნისა და რეგიონის მასშტაბით;

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი COST-ის სრულუფლებიანი წევრია.

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, ევროპის მარკეტინგისა და მენეჯმენტის ასოციაციის (EUMMAS) წევრია. თანამშრომლობის ფარგლებში ხორციელდება ერთობლივი პროგრამები, პროექტები და აქტივობები როგორც საქართველოში, ისე სხვა ქვეყნებში.

ევროპის მარკეტინგისა და მენეჯმენტის ასოციაციის (EUMMAS) წევრობის ფარგლებში, BTU-ს მხარდაჭერით, დაიგეგმა და ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ქალაქ ბუქარესტში და ქალაქ დუბაიში;

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა International Association of University Libraries (IATUL)-ის წევრია. ასოციაციის მიზანი წევრი უნივერსიტეტების ბიბლიოთეკების ინსტიტუციური განვითარება, ინტერნაციონალიზაცია, აკადემიური და კვლევითი კონტაქტების გაფართოება და საერთაშორისო საგანმანათლებლო სფეროს გამომწვევების კოლაბორაციული გზით გადაჭრაა.

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი გაეროს Sustainable Development Solutions Network -ის (SDSN) წევრია. ინსტიტუციური წევრობის ფარგლებში BTU-ს შესაძლებლობა აქვს ქსელის წევრებთან ერთად მხარი დაუჭიროს მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზებას და მობილიზებას საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ, მჭიდროდ თანამშრომლოს სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებთან მდგრადი განვითარების მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად, ჩაერთოს სხვადასხვა ინიციატივებში მსოფლიოს წამყვანი მდგრადი განვითარების ექსპერტებთან თანამშრომლობით და განახორციელოს ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტები, ღონისძიებები და აქტივობები.

BTU, თანამშრომლობს CIMA-ს სათავო ოფისთან, რის საფუძველზეც BTU-მ აკრედიტებული პარტნიორის სტატუსი მიიღო 3 წლიანი ვადით. თანამშრომლობა BTU-ს მაგისტრანტებს შესაძლებლობას აძლევს ოპერაციების საფეხურის სრული დარგობრივი სერტიფიცირება მოიპოვონ.

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტმა მსოფლიოს წამყვან და ერთერთ ყველაზე პრესტიჟულ მარკეტინგის სკოლასთან –დიდი ბრიტანეთის Chartered Institute of Marketing-თან თანამშრომლობს. პარტნიორობის ფარგლებში ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის სტუდენტებს ექსკლუზიური შესაძლებლობა აქვთ გახდნენ ინსტიტუტის აფილირებული წევრები და ისარგებლონ არაერთი უპირატესობით, შეთავაზებითა და საერთაშორისო სერტიფიცირებით.

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი ACCA-სთან თანამშრომლობს (Association of Chartered Certified Accountants). უნივერსიტეტს აქვს ACCA-ს მიერ საერთაშორისოდ აკრედიტებული პროგრამა. BTU-ს სტუდენტებისთვის ფინანსური მოდულების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად სწავლებისთვის, ACCA-ს პლატფორმა - Education Hub გაიხსნა

BTU-ს თანამშრომლობს აშშ-ის საუნივერსიტეტო კვლევის ადმინისტრატორთა ეროვნულ საბჭოსთან (NCURA). NCURA წარმოადგენს ფართომასშტაბიან, წევრობაზე დაფუძნებულ აკადემიურ ასოციაციას, რომელიც აერთიანებს 7500 წევრს 40 ქვეყნის 1,100-ზე მეტი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან. საბჭო აქტიურად არის ჩართული კვლევის ადმინისტრატორებს შორის კომუნიკაციისა და ურთიერთგაგების განვითარებაში, როგორც აშშ-ში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

BTU-მ თანამშრომლობა დაიწყო აშშ-ს საუნივერსიტეტო კვლევის ადმინისტრატორთა ეროვნულ საბჭოსთან (NCURA) და აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში ორგანიზება გაუწია რამდენიმე სემინარს ისეთ თემებზე, როგორცაა: კვლევების ადმინისტრირება, ტექნოლოგიების ტრანსფერის პროცესები, აშშ-ს დაფინანსებული ინსტიტუტები და ა.შ. 2022 წლის ნოემბერში NCURA-ს გლობალური ინიციატივების დირექტორი, ქ-ნი კლერ ჩენი ოფიციალური ვიზიტით ეწვია BTU-ს რათა ხელი შეეწყო უნივერსიტეტის ტექნოლოგიების ტრანსფერის ხედვის ჩამოყალიბებისთვის, ამ კუთხით პროცესების დაგეგმვისთვის და საჭირო დაინტერესებულ მხარეებთან კავშირის დამყარებისთვის.

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი მსოფლიოს წამყვან კიბერუსაფრთხოების ორგანიზაციასთან, Check Point-თან, თანამშრომლობს. თანამშრომლობა ასევე მიზნად ისახავს, BTU-ს კიბერუსაფრთხოების ლაბორატორიისთვის ლიცენზირებული პროგრამების მიწოდებას, აკადემიური პერსონალის შესაბამისი მიმართულებებით გადამზადებას, სერტიფიცირებასა და სპეციალური სესიების ორგანიზებას Check Point-ის წამყვანი სპეციალისტების მონაწილეობით.

BTU 2021 წლიდან გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის პარტნიორი და წევრია.

BTU საერთაშორისო სამეცნიერო, ტექნოლოგიური და ინოვაციური ქსელის Enrich Global წევრი გახდა;

BTU სტუდენტებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის, საზოგადოებისთვის, მცირე და საშუალო ზომის ბიზნესებისთვის, სტარტაპებისთვის

სტუდენტებისთვის შეთავაზებული ვაკანსიების რაოდენობა - 3000+;

BTU-ს კარიერული განვითარების ცენტრის სერვისებით ისარგებლა 4000-ზე მეტმა სტუდენტმა, 500-ზე მეტმა გარე ბენეფიციარმა, 500-ზე მეტმა კურსდამთავრებულმა;

BTU-ში ჩატარდა 40-მდე დასაქმების ფორუმი, 200-ზე მეტი პარტნიორი ორგანიზაციის ჩართულობით;

BTU-ში ჩატარდა საქართველოს მასშტაბით პირველი საერთაშორისო დასაქმების ფორუმი, სადაც 400-მდე სტუდენტი და 20 პარტნიორი კომპანია მონაწილეობდა;

BTU-ს მიერ ინიცირებულ, უნიკალურ სტუდენტურ პროექტებში “Pitch Yourself” “Job Shadowing” “Case Interview” “BTU Alumni for BTU Students” 120-მდე პარტნიორი კომპანია და 150-ზე მეტი სტუდენტი ჩაერთო;

BTU-ს კარიერული განვითარების ცენტრმა სტუდენტებისთვისა და კურსდამთავრებულებისთვის გამართა 500-მდე ტრენინგი, ვორქშოფი, მასტერკლასი, პანელური დისკუსია, საინფორმაციო შეხვედრა;

BTU-ს მიერ ინიცირებულ, სრულად დაფინანსებულ “უწყვეტი განათლების პროგრამაში” ჩაერთო 260-მდე კურსდამთავრებული. მათ მიერ არჩეული სასწავლო კურსების ჯამური რაოდენობაა 620;

ჩატარდა: 15 ჰაკათონი; 25 სტუდენტური კონკურსი; 15 სტუდენტური სტარტაპების დემო დღე;

BTU-ს სრულად და ნაწილობრივ დაფინანსებულ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა მიიღო 261-მა სტუდენტმა და 107-მა აკადემიურმა პერსონალმა;

უნივერსიტეტის საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად შემუშავებული ორი სადიპლომო პროგრამით ისარგებლა 18-მა სტუდენტმა;

საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურმა ინდივიდუალური კონსულტაცია გაუწია 4500-მდე სტუდენტსა და 200-მდე აკადემიურ პერსონალს;

BTU-ში ჩატარდა 300 ტრენინგკურსი, 50-ზე მეტი საინფორმაციო შეხვედრა, 10 პრეაქსელერაციის პროგრამა, 80 ვორკშოფი სტუდენტებისა და ბენეფიციარებისთვის;

ჩაატარა 50-მდე ტრენინგი, გაზიარდა 10 000-ზე მეტი სამეცნიერო სტატია და ელ.რესურსი აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის. ჩატარდა პანელური დისკუსიები; უნივერსიტეტმა შეიძინა ანტიპლაგიატის პროგრამა Turnitin-ი და ელექტრონული სასწავლო პლატფორმები ლექტორებისათვის;

BTU-ს რეიტინგული სტუდენტებისათვის გაიცა სტიპენდიები, ჯამში 310 000 ლარამდე;

ჩატარდა სტუდენტთა და აკადემიური და მონვეული პერსონალის 100-ზე მეტი გამოკითხვა;

საგამოცდო პროცესში ინტეგრირდა ონლაინპლატფორმა examjet;

BTU-ში შეიქმნა 500-ზე მეტი ახალი მულტიმედია მასალა, რიდერების, ვიდეოლექციებისა და ავტარის ციფრული მოდულების ჩათვლით;

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ შექმნილი ინოვაციური AI ტრანსფორმაციული რუკები BTU-ს MBA პროგრამაში ჩაშენდა.

BTU-ს ორგანიზებით საანგარიშო პერიოდში ჩატარდა გლობალური სტარტაპ ფონდის ოთხი საერთაშორისო ღონისძიება;

მენარმეობის ცენტრის გადამზადების პროგრამები გაიარა 5000-ზე მეტმა ბენეფიციარმა თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. მენტორთან ინდივიდუალური კონსულტაცია ჩაუტარდა 100-ზე მეტ სტარტაპს და დამწყებ ანტრეპრენერს საქართველოში;

BTU-ში განხორციელდა 100-ზე მეტი სოციალური პროექტი სხვადასხვა მონყვლადი ჯგუფისათვის;

BTU-მ დააფუძნა B2B აქსელერატორი; აქსელერატორის ბაზაზე შეიქმნა მკვლევართა ჯგუფი, რომელიც სხვადასხვა პრობლემის გარშემო, დარგის ექსპერტების და მენტორების ჩართულობით მუშაობს;

BTU-მ UNICEF-თან თანამშრომლობითა და კერძო სექტორის მხარდაჭერით, მონყვლადი ჯგუფებისთვის განახორციელა პროექტი "ახალგაზრდების ციფრული უნარების გაუმჯობესება - Junior Tech", რომლის ფარგლებშიც 60-ზე მეტი მოზარდი ტექნოლოგიებში სრული დაფინანსებით გადამზადდა;

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტმა დააფუძნა ყოველწლიურ სამეცნიერო პრემია მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციებში მოღვაწეობის წახალისების, სამეცნიერო კარიერის განვითარებისათვის პერსონალის მოტივაციის ამაღლებისა და BTU-ს პრიორიტეტული დარგების განვითარების პოპულარიზაციის მიზნით;

ჩატარდა ტექნოლოგიების 2 ფესტივალი;

BTU-ში UNESCO-ს პროექტის „PROMOTING INFORMATION LITERACY IN DIGITAL ENVIRONMENT AMONG WOMEN IN GEORGIA“ განხორციელება დაიწყო. პროექტი ემსახურება მონაწილეთა ინფორმაციული წიგნიერების და ციფრული უნარების გაზრდას.

ჩატარდა კრეატიული ტექნოლოგიების ფესტივალი.

BTU-მ ბენეფიციართა გადამზადება დაიწყო მასშტაბური პროექტის DO IT In Georgia-ს ფარგლებში; რეგიონული ვორკშოპების ფარგლებში გადამზადდა 500-ზე მეტი ბენეფიციარი საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან;

BTU-მ ჟურნალი „საქართველოს ქალი“ განახლებული ფორმატით გამოსცა;

BTU-მ, საერთაშორისო ორგანიზაცია Save the Children-თან პარტნიორობით, პარტნიორებთან ერთად, ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული გადაწყვეტილების საშუალებით, წიგნის "ტომ სოიერის თავგადასავალი" აუდიოვერსია მოამზადა;

BTU-სა და IT ACADEMY STEP-ის პარტნიორობით, ADOBE-ის მსოფლიო ჩემპიონატის რეგიონული კონკურსი გაიმართა;

BTU-ში ბიოტექნოლოგიების კვირეული მსოფლიოში აღიარებული მეცნიერებისა და კარლ ცაისის (CARL ZEISS AG) კავკასიის წარმომადგენლობასთან პარტნიორობით ჩატარდა.



ლექტორების აკადემია ბიზნესისა და ტექნოლოგიების სხვადასხვა დარგის პრაქტიკოსი სპეციალისტებისთვის, რომელთაც აკადემიური საქმიანობის სურვილი აქვთ, BTU-მ სპეციალური აკადემია დააფუძნა;

BTU-ს ორგანიზებით გაიმართა 10-ზე მეტი სამეცნიერო კონფერენცია და ჩატარდა 30-ზე მეტი პანელური დისკუსია სხვადასხვა აქტუალურ თემაზე, ბიზნესისა და ტექნოლოგიების მიმართულებით;

გამარჯვებები და მიღწევები:

შეიქმნა BTU „ცოდნის ბანკი“ – სტუდენტის ციფრული მეხსიერება – უნიკალური მაღალტექნოლოგიური პლატფორმა;

BTU-ს სტუდენტებმა, კურსდამთავრებულებმა და პერსონალმა მიიღო 700-ზე მეტი საერთაშორისო სერტიფიკატი;

BTU-ს სტუდენტი საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებული გახდა და NVIDIA ინკუბატორში მოხვდა;

BTU-ს სტუდენტმა გაიმარჯვა ფინანსური განათლების შესახებ იდეების კონკურსში;

BTU-ს ადმინისტრაციამ, სტუდენტებმა და ბენეფიციარებმა გაიმარჯვეს Forbes 30 Under 30 კონკურსში;

BTU-ს სტუდენტებმა გაიმარჯვეს თბილისის მერიის ჰაკათონში “თბილისი შენი ქალაქია”; GITA-ს Hardware ჰაკათონში BTU-ს სტუდენტებმა გაიმარჯვეს;

გაეროს ქალთა ორგანიზაციის იდეათონის “პროფესიას არ აქვს სქესი” გამარჯვებულები BTU-ს სტუდენტები გახდნენ;

BTU-ს სტუდენტების მიერ დაფუძნებულმა სტარტაპებმა GITA-ს საგრანტო პროგრამებში გაიმარჯვეს

BTU-ს ყოველწლიური სტუდენტური სტარტაპ კონკურსის გამარჯვებული სტარტაპი Wempler გახდა.

BTU-ში პრე-აქსელერაციის კონკურსი ჩატარდა. 15 000 ლარიანი საპრიზო ფონდი ორ გამარჯვებულ გუნდზე განაწილდა.

BTU-ს სტუდენტებმა გაიმარჯვეს Microsoft Learn Student Ambassador-ში;

BTU-ს სტუდენტებმა გაიმარჯვეს ეროვნული მუზეუმის კრეათონში;

BTU-ს სტუდენტებმა და ლექტორებმა გაიმარჯვეს რადიო „თავისუფლების“ ჰაკათონში;

BTU-ს სტუდენტმა გაიმარჯვა სტუდენტებისთვის გამართულ ქვეყნის განვითარების ხედვისადმი მიძღვნილ ღია კონკურსში;

BTU-ს სამაგისტრო საფეხურის სტუდენტმა საქართველოში უმაღლესი დონის ფინანსურ ოლიმპიადაში გაიმარჯვა;

185 ქვეყანა და 30 000-ზე მეტი მონაწილე – BTU-ს სტუდენტები Nasa-ს საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებულები გახდნენ;

ბრიუსელში, ევროპარლამენტში Emerging Europe-ის მიერ გამართულ დაჯილდოებაზე, BTU-ს პროექტი - "500 WOMEN IN TECH" გამარჯვებულ პროგრამად Future-proof Education კატეგორიაში დასახელდა.

500ქალი ტექში – პროექტის ფარგლებში შექმნილმა ჩვენმა პროექტმა “ქალები, რომლებიც არ არსებობენ” Ad Black Sea – International Festival of Creativity-ზე რამდენიმე ჟილდო მიიღო;

BTU-ს სტუდენტი Perspektywy Women in Tech Summit-ზე წარადგინეს;

“STEM Study Visit in Italy”-ის გამარჯვებული BTU-ს სტუდენტი ცოტნე ყალიჩავა გახდა;

BTU-ს მიერ წარდგენილმა ნელიკო ოდიშვილმა ისრაელის საელჩოს დაფინანსებით Cyber Week-ში (ისრაელში) მიიღო მონაწილეობა;

გაეროს ქალთა სტატუსის 67-ე კომისიაზე BTU-ს რექტორი, ნინო ენუქიძე ექსპერტ პანელისტის რანგში, სიტყვით გამოვიდა;

BTU-ს ლექტორი მერაბ კუტალია Google-ის ქართველი ექსპერტი გახდა;

BTU-ს ბაკალავრიატის საფეხურის ფინანსებისა და მენეჯმენტის პროგრამების სტუდენტებმა ანა გველესიანმა და ლაშა მგალობლიშვილმა ირლანდიის კარლოს ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში სტაჟირება გაიარეს;

BTU-ს ლექტორმა თამთა მამულაიძემ GITA-ს 100 000-ლარიანი გრანტი მოიპოვა სტარტაპით - "Agronavti";

BTU-ს ადმინისტრაციისა და ლექტორების გუნდი EUMMAS-ის წევრი გახდა;

2019, 2020, 2021 წლებში BTU-ს მეწარმეობის ცენტრის სტარტაპებმა საქართველოს სახელით გაიმარჯვეს "ბრიტანეთის საბჭოს" პროექტ „შემოქმედებითი ნაპერწკლის“ საერთაშორისო კონკურსში, რომელშიც 7 ქვეყნის 90 წარმომადგენელი მონაწილეობდა;

2020 წელი - ACCA(საერთაშორისო საფინანსო სტანდარტების გამოცდაში) გიორგი ვარდიაშვილმა მსოფლიოში 23-ე ადგილი და საქართველოში პირველი ადგილი დაიკავა.

2021 წელი - ACCA (საერთაშორისო საფინანსო სტანდარტების გამოცდაში) ალექსანდრე გოცაძემ მსოფლიოში 22-ე და საქართველოში პირველი ადგილი დაიკავა.

გლობალური სტარტაპ ფონდისა და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მხარდაჭერით, სტარტაპმა Echolize-მა მიიღო 1 300 000 ლარი დაფინანსება; Unleashing the power of GPT-3 ჰაკათონის გამარჯვებული პროექტი BTU-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სტუდენტების მიერ შექმნილი Agro AI გახდა.

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი UNESCO-ს პროგრამის „ინფორმაცია ყველასთვის“ საგრანტო კონკურსის გამარჯვებულია.

კოდინგის სკოლა ქალებისათვის გრეის ჰოპერის და Emerging Europe-ის კონკურსის გამარჯვებული გახდა;

სამეცნიერო აქტივობები

უნივერსიტეტის პრიორიტეტია ადგილობრივ და საერთაშორისო სამთავრობო, არასამთავრობო და კორპორატიულ სექტორთან აქტიური თანამშრომლობა ერთობლივი ინოვაციური კვლევების განხორციელების მიზნით. ამავე მიზნით არაერთი აქტივობა და პროექტი განხორციელდა და მათ შორის:

BTU-ს პროფესორებისა და სადოქტორო პროგრამის „ციფრული მმართველობა და ხელოვნური ინტელექტი“ დოქტორანტების მიერ ხელოვნური ინტელექტის ეროვნული სტრატეგიის სახელმძღვანელო პრინციპები შემუშავდა;

უნივერსიტეტის ინიცირებით ევროპის მარკეტინგისა და მენეჯმენტის ასოციაციაში (EUMMAS) დაარსდა 3 ახალი კვლევითი ცენტრი;

BTU-ში ჩატარდა 250-მდე კვლევითი პროექტი;

გამოიცემა ყოველკვარტალური კვლევითი ანგარიში Digital Ecosystem Digest, რომელიც მიმოიხილავს მიმდინარე ტექნოლოგიურ და ინოვაციურ ტენდენციებს საქართველოს ციფრული ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში;

BTU გახდა პირველი ქართული ორგანიზაცია, რომელიც მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმის სტრატეგიული ცოდნის პლატფორმას კვლევებსა და ანალიტიკურ მასალას საქართველოდან აზიარებს;

2020 წელს BTU-ში დაანონსებული ინიციატივა 5.0 ფარგლებში განხორციელდა 10 სტრატეგიული სექტორის ციფრული ტრანსფორმაციის მხარდაჭერის პროგრამა, კვლევებისა და საერთაშორისო პროექტების სახით: EDTECH - განათლება, HEALTHTECH - ჯანდაცვა, FINTECH - ფინანსები, AGRITECH - სოფლის მეურნეობა, GREENTECH - მწვანე ტექნოლოგიები, CULTURETECH - კულტურა, MEDIATECH - მედიის ტექნოლოგიები, ENTREPRENEURSHIP - მენარმეობა, DEEPTECH - დიფტექი, FEMTECH - ფემტექი, LAWTECH & LEGALTECH - სამართლის ტექნოლოგიები;

2024 წელს BTU-ს ორგანიზებით, ევროპის ერთ-ერთი პრესტიჟული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია COST ჩატარდა;

BTU-ში შეიქმნა სამეცნიერო კაფე - BTU-ს აკადემიური პერსონალის, მკვლევრების, დოქტორანტებისა და ახალგაზრდა მეცნიერების ინტერაქციული სივრცე, რომელიც ამავდროულად, ხელს უწყობს კავშირების გაძლიერებას სამეცნიერო საზოგადოებასა და კერძო სექტორს, მათ შორის ინდუსტრიას შორის.

BTU-ს ბიბლიოთეკა განკუთვნილია: სტუდენტებისთვის, კურსდამთავრებულებისთვის, აკადემიური პერსონალისთვის, მეცნიერებისთვის, საზოგადოებისთვის – ბავშვებისთვისა და ოჯახებისთვის.

BTU-ს ინიციატივით, MIT-სთან პარტნიორობით ქართულად ითარგმნა და დაიბეჭდა ორი წიგნი: ბილ ოლეტის “გამართული ანტრეპრენერობა: 24 ნაბიჯი წარმატებული სტარტაპისკენ” და ბრედ ფელდისა და ჯეისონ მენდელსონის “ვენჩურული გარიგებები”.

BTU-სა და ლურჯი ოკეანის ერთობლივი პროექტის AI BOOKS-ის ფარგლებში ორი წიგნი გამოიცა. AI BOOKS ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებული ტექსტების დამუშავებას, ქართულ ენაზე თარგმნასა და ორენოვანი წიგნების გამოცემას გულისხმობს. პროექტის ფარგლებში გამოიცა წიგნები: თანამშრომელთა მოტივაცია და ფინანსური ტექნოლოგიები და ბლოკჩეინი.

BTU-მ, აშშ-ს საელჩოს მხარდაჭერით, მსოფლიო ბესტსელერი წიგნი „Strategic Market Management“ ქართულად გამოსცა. წიგნი მენეჯერებს დინამიკურ ბაზრებზე ორიენტირებული ბიზნეს-სტრატეგიების იდენტიფიცირებაში, განხორციელებაში, პრიორიტეტიზაციაში და ადაპტირებაში ეხმარება და უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, მარკეტინგის სილაბუსის ნაწილი გახდა.

გაციფრულდა 400-მდე ნაბეჭდი წიგნი;

ბიბლიოთეკის ფონდი შეივსო 3500-მდე წიგნით, 11 ელექტრონული სამეცნიერო ბაზით, ონლაინრესურსებითა და 1000-მდე მულტიმედია მასალით. ბიბლიოთეკამ 5 წლის განმავლობაში;

BTU-ს ბიბლიოთეკა ყოველწლიურად Banned Books Week კვირეულის ფარგლებში სხვადასხვა აქტივობას, აკრძალული წიგნების განხილვას, პანელურ დისკუსიებსა და ღონისძიებას ატარებს.

ინფრასტრუქტურა და კამპუსი

ამჟამად უნივერსიტეტში ფუნქციონირებს 2 სამუშაო სივრცე, ლაბორატორიები, საკონფერენციო სივრცე, სივრცე ჯგუფური მუშაობისათვის, საინფორმაციო და სასერვერო სივრცეები. ასევე, სამედიცინო დახმარების კაბინეტი და დაცვის ოთახი;

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტმა ახალი კამპუსის მშენებლობა დაიწყო. თბილისის ცენტრში, ჭავჭავაძის გამზირზე არსებული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე გაფართოებულ ინფრასტრუქტურას მრავალფუნქციური სივრცეები, ახალი ლაბორატორიები, თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვილი აუდიტორიები, ბიბლიოთეკები და სხვა მულტიმედია ოთახები დაემატება. ახალი პროგრამები, პრეცედენტო პროექტები ხელოვნური ინტელექტის მიმართულებით, პარტნიორობა მსოფლიოს მოწინავე ტექნოლოგიურ ბრენდებთან, საერთაშორისო თანამშრომლობა და მასშტაბური სამეცნიერო კვლევითი პროექტები 2025 წლიდან, BTU-ს ახალ კამპუსში განხორციელდება.

BTU-ს ტერიტორიაზე დაფუძნდა წამყვანი ამერიკული უნივერსიტეტის, ვებსტერის (Webster University), რეგიონული კამპუსი საქართველოში;

2016 - 2024 გეგმა

